№ 167. 12 აგვისტო, ხუთშაბათი. 1866—1882 12 აგვისტო, ხუთშაბათი. № 167.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

## რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებ- ში კლუბის ქვემოთ.

## ხელის-მოწერა

მიიღება თვილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში: ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

## „დროების" ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლისა | 9 მან. | სამის თვისა | 3 მან. |
| ექვსის თვისა | 5 მან. | ერთის თვისა | 1 მან. |

## ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., პატარა ასოებით ასოზე ნახევარი კაპ., ნუმერის ერთის სტრიქონზე 8 კაპ.

თუ ხაჭარობა მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" დარჩერთი შაური.

# თეატრალური განცხადება

15 სეკტემბრიდამ დაიწყება ქართული თეატრალური სეზონი. უმორჩილესად ვსთხოვთ ყველა ავტორებს და მთარგმნელებს, ვისაც კი მოეძევათ პიესები გამოგზავნონ 1 სეკტემბრამდის, რადგან მთელი სეზონის რეპერტუარი გამოცხადებული უნდა იყოს წარმოდგენების დაწყებისათანავე; ეს დაჩქარება მით უფრო საჭიროა, რომ 1 იანვრამდის 1883 წლ. პიესების ცენზურაში გატარება შეიძლება აქვე, ტფილისში, მას შემდეგ კი უნდა გაიგზავნონ უმაღლეს მთავრობასთან, და იმისათვის რომ ეს დიდი დაბრკოლება, ქართულ თეატრის შესახებ, თავიდამ ავიცილოთ, ჩვენ კიდევ ვიმეორებთ ჩვენს თხოვნას, რომ პიესები რაც შეიძლება მალე გამოგზავნონ შემდეგის ადრესსით: **Въ Тифлисъ въ редакцію „Дроэба". Константину Семеновичу Месхи.**

ამასთანავე ვაცხადებთ, რომ ვისაც კი სურს ქართულ დრამატიულ დასში დრო-გამოშვებით მონაწილეობის მიღება ან სურს შემოვიდეს სამუდამო მოთამაშედ, შეუძლიან ამავე ადრესსით მოგვმართოს პირობების შესატყობლად

ძველ მოთამაშეთ ვაუწყებთ, ვისაც სურსთ, შეგვეკრან კონტრაკტით იმ პირობებზე და წესებზე, რომელნიც დამტკიცებულნი არიან ქართული დრამატიული საზოგადოებისაგან, პირველ სეკტემბრამდის; რომელიც კი ამ ვადამდე არ შეგვეკრება კონტრაკტით, შემდეგში აღარ იქნება მიღებული ქართულ დასში.

მოთამაშეთა სახელ-გვარის, რეპერტუარი, აბონიმენტის, წარმოდგენები დღეთა და თვითონ თეატრს შესახებ, თუ სად გაიმართება წარმოდგენები—გამოცხადდება 1 სეკტემბერს.

ქართული თეატრის საქმეთა გამგენი { გ. აბაშიძე. / კ. მესხი.

# ტელეგრამმა

(„სამხრეთ-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი")

**პეტერბურღი**, 10 აგვისტოს. გაზ. „ვრაჩ"-ის სიტყვით სამხედრო უწყებაში გამოვიდა განკარგულება, რომ სამხედრო მედიკურ აკადემიებში სტუდენტებად და სამხედრო ექიმებად ებრაელებთაგანნი მიღებულ იქმნენ არა უმეტეს ხუთის პროცენტისა მთელის რიცხვის სტუდენტებისა, თუ ექიმებისა და ამასთანავე აღნიშნულ ალაგებზედ ოდესის, ვილნის, ვარშავის, კიევის და ხარკოვის ოლქებისა; მეტი რიცხვი ებრაელ ექიმთა გადაყვანილ იქმნეს ორი წლის განმავლობაში სხვა ოლქებში; ებრაელთა ექიმები სამსახურით მხოლოდ მეხუთე კლასამდი იქმნენ აყვანილნი და ისეც მხოლოდ სამხედრო ოლქების უფროსთა თანხმობით.

„გოლოსი" გვაცნობებს, რომ ბარონ შტეინგელს მაინდო თავის ხარჯით, ერთის წლის განმავლობაში აღმოანინოს მოხერხებული ალაგები როსტოვო-ვლადიკავკაზის რკინის გზის გასაყვანად შავი ზღვისაკენ ორის მხრით: ერთი ტიხორეცკის სტანციიდამ ეკატერინოდარზე ნოვოროსიისკამდე..

## დღიური

ერთი ქულაშელი გლეხისაგან მოგვივიდა საჩივარი იქაურ ხევის თავებზე. ამ ხევის თავებმა მრთელი სოფლის მმართველობა ჩაიგდეს ხელშიო. პრისტავიც, მამასახლისიც და სუდიებიც ესენი არიანო. ამას წინედ ერთ დიაკვნისთვის რომელთანაც თურმე ერთს ხევის თავს უკმაყოფილება ჰქონია, სულ უსამართლოდ წაურთმევია 21 მან. და უთქვამს, წადი ეხლა, სადაც გინდა, მიჩივლეო. როგორც ამ საქმეზედ პროტოკოლის შედგენა უბრძანა პრისტავმა მამასახლის, ხევის თავებმა დაითრინეს მამასახლისი—არც შენი საქმეა და არც პრისტავის, ჩვენზედ პროტოკოლის შედგენაო! ვინა ხართ თქვენაო! გლეხზე რაიმე უბრალო საქმეზედ ჯარიმის დადება, ძმათა შორის მამულების გაყოფა და ბევრი ამ გვარი საქმეები ამ ხევის თავებმა მიისაკუთრესო.

თუ რასაც კულაშელი გლეხი იწერება ყველა მართალია ჩვენ გვიკვირს, ვერ წარმოგვიდგენია, საიდამ მიუნიჭებიათ ხევი-თავებს ეს უფლება. როგორც ვიცით, ხევის-თავების საქმეა რომ სოფელში არა დაიკარგოს რა და საზოგადოდ გლეხის საკუთრება დაფარული და დაცული იყოს სხვადა-სხვა გვარ მტაცებლებისაგან, და მაშ კულაშელ ხევის-თავებს რალა უფლება მიუნიჭებიათ ეს?!...

* * *

ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ მთელი შუა ბაზრიდამ მოყოლებულ თათრის მოედნამდის და იქითაც, ტროტუარზედ სიარული შეუძლებელიაო, რადგან ზოგან მკერვლებს გამოუწევიათ დაზგები, ბაყალთ თაბხები და ამ ნაირად ქვევით მოსიარულეთათვის ეს ტროტუარები იმდენად შევიწროებული არისო, რომ შუა ქუჩაზედ არიან იძულებულნი იარონო. ძალიან კარგს ინებებს პოლიცია, რომ ალუგრძალოს აქაურ მედუქნეებს, უიმისოდაც ერთის მტკა-

## „დროების" ფელეტონი, 12 აგვისტ.

### არხეოლოგიური მოგზაურობა

11 მკათათვეს გავემგზავრე ახალციხიდგან აწყვერისაკენ ფურგუნით. ჩემთან ისხდნენ ორიოდე ხურო ქართველები; მიდიოდნენ ხე-ტყის საყიდლად ბორჯომისკენ.

დიდ სიამოვნებას ჰგრძნობს კაცი მოგზაურობაში. სხეული უძლიერდება, გონება ერთი-ორად ელება, თვალყური უცხოველდება და სულ გული საამური ოცნებებით უტკბება, როცა ხედავს თავის სატრფო სამშობლოს მორთულ-მოწყობილს, დახატულს, მშვენიერის მთა-ბრებით, ხევ-ღელეებმინდვრებით, ტყე-ღრითა, მდინარუსხმულებით, ყანა-ჭალით, ბაღჩებმტილებით და ხშირის სოფლებით. ყველაზედ მომეტებულად ტკბება კაცი ადგილობრივ მცხოვრებ მაჰმადიან ქართველების ქართულის ენით.

საკუთრად ახალ-ციხის მაზრებში გამოჩენილია აწყვერის მაზრა ქართულის ენის დაცვითა: სამიოდე სოფლების გარდა ყველანი კარგ ქართულს ლაპარაკობენ. მით დაცულია უდიდესი ნაწილი მამა-პაპური ყოფა-ქცევისა, ანდაზები, ზღაპრები, შაირები, ძველი ამბები და ვიდრე კერპთ-მსახურების დროს ნათქვამი და გაგონილი ამბებიცა. ამაებს ყველას ჩემსავით გაკვრით მოგზაური ვერ მიაქცევს ყურადღებას. ამ გვარი წყაროების შესაკრებლად თვითოეულ სოფელში თითო კვირას მაინც უნდა დაშთეს კაცი, რომ გაიგოს ცოტა ბევრად სავნები.

მე მინდოდა თისელის, აწყვერის და ბიეთის ეკლესიების წარწერების გადათვალიერება.

ამ უკანასკნელში დამხვდა მხოლოდ ორიოდე წარწერა, პირველნი წახოცილიყვნენ და გაუჩინარებულ ქამთა ვითარებისაგან. აწყვერს თავ-და-პირველად ჰრქმევია საქრისი. ახლაც ამ სახელით იწოდება გამოღმა მხარის სახნავ-სათესი. საქრისი დარქმევია ადგილობრივი პირველ გამშენებელ მფლობელისაგან. საგრო, თუ საქრო სახელია და ამ ლექსის ბოლოს მოკიდებული ნაწილი ისა, ნიშნავს საქროს საკუთრებას. ასრე არიან მრავალ სოფელთ სახელები სამესხო საქართველოდ, როგორც: სხვილისი, ტატანისი, ლებისი, ჩიხორისი, ურბნისი, დმანისი, რუისი და სხვ.

თქმა არის ამათ მფლობ დამფუძნებელთ როგორც თბილისისასა რქმევიათ, სხვილო, ტატანო, ლებო, ჩიხორო, ურბანო, დომანო, რუო და თობალო. საქრო ლექსიდგან წარმომდგარია ჩვენს ენაში საგრობა, რომელიც ნიშნავს მოლაშქრობასა. როცა ინდოელების ტომნი — არიანები შემოსულა და ჩვენს ქვეყანაში უწოდებიათ ამ საქრისისათვის ხოსანგეთი, მიბაძვით თავიანთ ნამყოფ ქვეყნისა ინდოეთის სურანისა. ბოლოს დარქმევია აწყვერი, ვგონებ ასურისტნელებისაგან მსგავსად თავიანთ მხარის ასურერისა.

ადრევე განთქმული ყოფილა აწყვერის ციხე შეუვალ მაგრობითა და ახლაც შესანიშნია ნახევარ ნაქცევი ციხის კედელ-ყურენი. ამ ციხეში იყო „საკერპე ბომონი, რომელსა შინა იმსახურებოდეს ბილწნი ღმერთნი მათნი, არტემი და აპოლონ". („ქართ.-ცხ." გვ. 45).

ანდრია მოციქულმან განწმინდა ესე ეკლესია და დაასვენა შიგ აწყვერის ღვთის-მშობელი, რომელიც აქვე ესვენა დედა ეკლესიის აშენებამდე. ეს ციხის ეკლესია ოსმალთ დაუნგრევიათ საფუძვლიანთურთ. რა ეს ვსცან, აღარ ავედი ციხეში. ციხის იქით ქალაქის შუა აღშენებულია დედა ეკლესია მსგავსად მცხეთის და ქუთაისის დედა ეკლესიებისა, მოდიდო მშვენიერის არხიტექტურულის გეგმითა და საუცხოვო მხატვრობის ჩუქურთმებითა. ეს დედა ეკლესია იყო სამთავარეპისკოპოსო. მთავარეპისკოპოსს ეწოდებოდა მაწყვერელი. ადრე მეფეთ წიგნობრობის პატივიც ჰქონია, მერმე ქუთათელზედ გადასულა ის ღირსება. მაწყვერელს ჰყავდა 12 ეპისკოპოსი მათის საეპარხიო სამწყსოითა; ამათ რიცხვში იყვნენ ალაშკერტისა, ანისა და ყარსის ეპისკოპოსი მათის საეპისკოპოზნიცა. მაწყვერელთაგან გაჩენილია თავიდგანვე სამართალნი, რომელნიც უკანასკნელ შემოჰკრიბა 1445 აღბუღა ათაბეგმან ჩოლთას, აღიწერა წიგნად და ეწოდა, „სამართალი აღბუღ ათაბეგისა." ამ დედა ეკლესიის კოკოლა მიწის ძირით დაიქცა ოსმ-ლოთ ფეხის შემოდგმისა თავოსკარად მე-16 საუკ. ნახევარს. დანაშთენი შენობა, კედელ-გუმბათებით

ველის ტროტუარის შევიწროება, და თუ ეს არ შეუძლიან, ნუ მისცემს მაინც ნებას, აქაურს ვიწრო ქუჩებში, ფაიტონებს ისე წინ დაუხედველ და სწრაფ ქანაობისას, როგორათაც დღეს დაარიხინებენ, რომ ამ გზით მაინც იყვნენ დაფარულნი და გვერდებ დაუმტვრეველნი ამ ქუჩებში ქვევითა მოსიარულენი.

***

მუხრანიდამ გვწერენ, რომ თ. მუხრან-ბატონს გაუმართავს იქ ფერმა, რომელშიაც თვალ-ყურ მადევნებელად ნასწავლი და მომზადებულ მებაღე ჰყავსო. ეს ფერმა სამაგალითო და შესანიშნი რამ არისო, რომლისაგანაც, უეჭველია, რომ სხვებიც შეისწავლიან რამესა და თ. მუხრან-ბატონის დაწყებილს საქმეს მიჰბაძვენო.

***

სოფელ წილკნიდამ გვატყობინებენ, რომ იქაურს გლეხებს, ერთ იქ მყოფ მოსწავლე ყმაწვილისათვის უთხოვნიათ, რომ სკოლა გახსენი, ყმაწვილებს გვისწავლე და ფასს ერთსამად მოგცემთო. სამწუხაროდ, როგორც გვატყობინებენ, ამ ყმაწვილს გლეხების თხოვნა ვერ დაუკმაყოფილებია, რადგან მოსწავლე არის.

იმედია, „წერა კითხვის საზოგადოება“, მოვალეობისა მებრ, მიაქცევს ამ გარემოებას ყურადღებას.

***

ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ. ვ. როსტომაშვილს შეუდგენია ყმაწვილებისათვის საკითხავი წიგნი, რომელსაც ეწოდება „ნერგი“. ეს წიგნი განიყოფება სამ ნაწილად. პირველ ნაწილში შეტანილი არის წვრილი მოთხრობები, ლექსები, წერილები მეურნეობისა და სხვა ადვილ საგნების შესახებ; მეორეში და მესამეში უფრო ვრცელი სტატიებია ჩვენი ძველი და ახალი ცხოვრების ჩვეულებაების შესახებ — საქართველოს გაქრისტიანებაზე და ზოგიერთ ისტორიულ დროებებზე, რომელნიც შესანიშნავი არიან ქართველების ცხოვრებაშიო.

***

თელავიდამ გვატყობინებენ, რომ ახლად დაარსებულის „დეპოს“ საქმე კარგად მიდისო იქ, თუმცა ცოტა ხანიაო, რაც დეპო დაარსესო მაგრამ სახელიც დაყდო და ფასიცაო.

—

### რედაქციისაგან

**დამოუკიდებელის მიზეზისა გამო დღევანდელი №-ი ჩვენის გაზეთისა ნახევარ ფურცლად გამოდის.**

## უცხოეთი

### ეგვიპტის ამბები

ძლივს აიძულა ინგლისმა ოსმალეთი, (ხონთქარი) რომ ამ უკანასკნელს ალეარა არაბი-ფაშა განდეგილად, მოღალატედ და ეხლა, როცა ეს სურვილი აღესრულა ინგლისს, ეს მაინც არ კმაყოფილდება კიდე. ხონთქრის პროკლამაციას ენერგია აკლიაო და არც ის არის ახსნილი შიგ, თუ რა პოლიტიკა უნდა დაიჭიროს ოსმალეთმა ეგვიპტეში. — ინგლისელები ჰფიქრობდნენ, იმედი ჰქონდათ, რომ არაბის ბედუინები არ დაეხმარებიანო, მაგრამ თითქმის ნახევარ ჯარს არაბი-ფაშისას შეადგენენ ბედუინები, რომელნიც ხშირის და უეცარის თავდასხმით არ ასვენებენ ინგლისის ჯარს. ბედუინები „შაიკებად“ არიან დაყოფილი. — არაბის ჯარი მოუსვენრად მოქმედობს — თან-და-თან ახალსა და ახალს სიმაგრეებს აგებს. — ალექსანდრიაში დაუტუსაღებიათ რვა ჯაშუში არაბისა. — არაბის ჯარები შეუბრალებლად აქცევენ რკინის გზებს. — შერიფმა გამოიწვია ჟენევიდამ რიაზ-ფაშა, რომელიც დაინიშნება ახალის კაბინეტის პრეზიდენტად. ორი წლის განმავლობაში ეჭირა ალაგი ამ ფაშას ეგვიპტის პირველის მინისტრისა და ამ ხანში ეგვიპტეს მდგომარეობა ჰყვანდა. ეს არისო ენერგიული, მართალი და ჯაფის მოყვარე კაცი.

ინგლისელების ჯარი ეგვიპტეში შესდგება 25,239 მეომართაგან. ამათგან 10,000 ინდუსიდამ არიან გამოყვანილი.

## განცხადებანი

—

### ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 18 ამა აგვისტოსა, დილით 12 საათ. გამგეობის თანადასწრებით იქნება ვაჭრობა იჯარით გასაცემ ქალაქის ადგილებისა ხის ბუთკებით, გასასყიდათ ხელოვნებითი მადნეულის წყლებისა სხვა-და-სხვა ადგილებში! გალავინის პროსპექტზე, გიმნაზიის ქუჩასთან 1, რეიტერის სახლთან 1, ფოჩტის სტანციის პირ-და-პირ ერთი, ალექსანდროვის ბაღთან 1, ერივნის მაედანზე 3, და ავლაბრის მოედანზე 1, სულ ცხრა ადგილი ბუდკებისა. წვრილებითი პირობების შეტყობა შეიძლება გამგეობის კანცელარიაში ყოველ დღე დილ-დილაობით პირველს საათამდინ. (3—1)

---

## მაღაზია

### სალიანის თევზეულისა

უცხადებს საზოგადოებას, რომ მან ახლად მიიღო სალიანში მარტში დაჭერილი თევზეული საგანგებოდ მომზადებული და ისყიდება წვრილადაც და პარტიითაც. აქავე ისყიდება ყოველ დღე მოხარშული თევზეული. მაღაზია იმყოფება თამამშოვის ქარვასლის ქვეშ. (12—8)

---

### მოსეს ვართანიანცის

## სტამბაში

მიღებულია ახალი რუსული, სომხური და ბევრი სხვა ენების შრიფტიც. სხვათა შორის მიღებულია

ქართული შრიფტიც.

მიიღება ყოველ გვარი შეკვეთა— ბეჭდვა წიგნებისა ჟურნალ-გაზეთებისა და სხვ. (5—1)

---

ზრიქურიოვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნის სიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

**წითელი ფარანი**, ფასი 15 კ.

**ხატაური** — — — 10 კ.

---

### ნაფიცი ვექილი

### სერგეი ვასილის ძე

## ჩემესოვი

გადავიდა გალავნის პროსპექტზე ბატბელოის სახლებში (6—2)

---

მრთლივად იყო ამ 40 წლის წინამდის, გარნა ადგილობრივ მცხოვრებ მაჰმადიანთ იმდენი უთხარეს ძირკუთხე, აძვრეს თლილი ქვები, ნახატი ჩუქურთმები, რომ შეურყიეს ცა და ჩამოაქციეს ერთიან ამ ჩვენს დროს. დასევიან ერთიან სოფლეულად და გიუტაციათ მრთელი ქვები, ზოგით ფურნე ბუხრები გაუკეთებიათ, ზოგით ბოსლები, კარ-მიდამოები დაუგიათ, ზოგითაც სახლის საკიდურ კედლები აუშენებიათ. იმ სახლს ძვირად ნახავ, რომ მისი ქვები არ ჰქონდეს ჩატანებული კედლებში. ამ უწესოებას ოსმალოს დროს ხომ ვერ ჩაიდენდნენ. აქედგან უნდა გავიგოთ, თუ როგორ ცივად უყურებს ადგილობრივი ადმინისტრაცია ამ გვარ ბოროტ - მოვლენათა. ზერცხვენია მართლად ამაზედ ხმის ამოღებაცა, მაგრამ რას იზამ, გული ველარ სძლებს. იაე ვაუჩინარებულა წარწერაები და ჩუქურთმიანი სვეტ გარნეზნი რომ ველარასა ნახავ.

ამ დიდა ეკკლესიას საძირკველი ჩაიყარა 620 წ. ერეკლე კეისარის სახელზედა; „მაშინ იწყო ერეკლე აწყვერის დიდისა საყდრისა საძირკველისა ჩაგდებად და შენებად. ვიდრემდის მიერითგან განსრულდა მორწმუნეთა კაცთა მიერ“. („ქართ. - ცხოვრ.“ გვ. 166).

ასრე გამიგონია ამის აშენების საქმე:

„აწყვერში ერთი მეზობელი მეორეს ყანას მიჰყიდის. რა ფულებს მისცემს შეიტანს ურქვანს (გუთანს) ყანის გასატეხლად. ეს გლეხი ამ ყანის მოგუთვნაში შეხვდება დიდ-ძალ ოქროს საუნჯეს ძველის ძველსა, შეატყობინებს ადრინდელ პატრონს, რომ შენ წინაპართ შენახული საუნჯე აღმოჩნდა შენს გამოსყიდულ ყანაში, მოდი გამცალე, რომ მოეხნაო. ისიც უპასუხებს: მე ჩემ გამოსყიდულ ყანასთან, რაც იქ მოიპოვება ყოველივე შენთვის მომიცია, მე აღარა მეკუთვნის რაო! ამაზედ დიდხანს უპჭვიათ, რა ვერ მორიგებულან, მისულან მაწყვერელთან და მას გჭონბის გასათავებლად გარდაუწყვეტია იმათთვის ასე: ეგ საუნჯე მოიტანეთ მაგით ეს ეკკლესია აშენდეს და რომლის კუთვნილებაც იყოს იმისთვის წავიდესო“. — და ეს ქრისტიანობის დროს აშენებული ეკკლესია ჩვენს დროს დაიქცა და ირღვევა დღითგან დღეზედ ჯეროვანი ყურადღების მიუქცევლობით მთავრობისა. ოსმალოს დროს რომ ყოფილიყო, ხმას ამოვიღებდით და კიდეც თავს გავიტანდით, გარნა ახლა რაერთსაც ხმას ვიღებთ და ვჩივით, იმდენი არავითარი გავლენა არა აქვს არავისთან ჩვენს საჩივარსა და სხვალა რა კეთილს უნდა მოველოდეთ?...

ადგილობრივი მცხოვრებნი ეძახიან ამ ეკკლესიას შლიჯამს (კათოლიკე ეკკლესიას). ხიდ გამოღმა სომხების ეკკლესიასთან არის კიდევ სხვა ეკკლესია თლილი ქვისა. ეგ ეც სანაგვედ აქვსთ და დიდ ეკკლესიის საქმეს ჰმართვენ. შემოცარცვას არ აკლებენ, მიაქვთ, ვისაც არა მგონია, ვიდრე სომხებთა კლანჭი გაუკრიათ. ესენიც ამბობენ: „თივას რომ ცეცხლი ეკიდებოდეს ჩვენც ხელს მოვითბობთო“.

აწყვერელების კერპობის დროს სათაყვანებელი ყოფილა კვალად გარდა ციხისა სლესას: იქ არის გორა რომელსაც დღესაც საბუზარას ეძახიან.

იმ საღამოს წინუბანს გარდავედი. კარგი კაცთ-მოყვრობით მომეპყრნენ; ამათი მოლლა ჩიჯავაძეა. ქართულის ლაპარაკს უშლიან აწყვერს, წრიოხს, ტყემლოვანს და ამ წინუბანს. ბერი კაცებმა მომმართეს მაშინვე, დამიწყეს ქართული ლაპარაკი თავიანთ მოლლასთან. ვახშამს ერთად შევექეცით და მოლლამ არაბულად დაიწყო ლოცვა. მე ვუთხარ, რატომ თათრულად არ ლოცულობ, რომ ხალხმა გაიგონოს, იქმნება შენ აგინებ და მაგათ ლოცვად ჰგონიათ-მეთქი? მიპასუხ.: მაჰმადი რომ არაბი იყო, არაბული ლოცვა დიდი მადლიაო! მერმე ერთმა წვეროსანმა უთხრა: „ხოჯა, მაგას რატომ ამბობ? ერთხელ ჩვენში სიტყვა ჩამოვარდა არაბულ ლოცვის გაუგებრობაზედა, წარმოსდგა ჩვენთან მყოფი ერთი აჭარლის მოლლა და აბდარის ყველა ლოცვები სულ ქართულად სთქვა და შენც რომ ქართულად გვალოცო ორჯერ-სამჯერ, ხომ მაშინვე დავისწავლითო“. ამ სიტყვაზედ დიდად გაუწყრა მოლლა და მე ვუთხარ მოლლას: მაშ ეს გამოდის თქვენის სიტყვიდგან, რომ არაბულის ენის ხმარებით ერს დიდი დამოკიდულება ექმნება თქვენთან, და გასაგონი ენის ხმარებით პატივი აგეხდებათ და ამისთვის დატყვევებულდაბორკილებული გყავსთ საწყალი ჯამაათი-მეთქი! ამ სიტყვაზედ მრთელი იქ მყოფნი პირნი დამემოწმნენ.

ვინმე მესხი.

ხიზაბავრა.

(შემდეგი იქნება)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 Августа 1882 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი